ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპლიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ, შეიმუშავა დადგენილებების პროექტები:

- ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N43 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2017 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი - ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“. კანონის მიღებამ ერთ საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქცია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების საკითხი. ამავე კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების თანამდებობრივი სარგოების გამოთვლის მიზნისთვის, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განისაზღვრება საბაზო თანამდებობრივი სარგო ნომინალურ გამოხატულებაში.

2024 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით, საბაზო თანამდებობრივი სარგო 2023 წელთან შედარებით იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1 330 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას ასევე 10%-ის ოდენობით.

ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოხდა მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების გადაანგარიშება, რომელსაც წარმოგიდგენთ წინამდებარე პროექტის სახით.

მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება წარმოდგენილია, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესაბამისად.

საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ

უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), 2024 წლის 01 იანვრამდე ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სტრუქტურული ერთეული, ხოლო 2024 წლის 01 იანვრიდან აღნიშნულ უფლებამოსილებებს კოდექსის შესაბამისად განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, საჭიროა 2024 წლის 01 იანვრიდან გაუქმდეს მერიაში მოქმედი სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სტრუქტურული ერთეული.

ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N43 დადგენილება და ასევე ცვლილება იქნეს შეტანილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებით დამტკიცებულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში.

პროექტების ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.
პროექტებს საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის მერი: **დავით შარაშიძე**